ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება № 671

“20” დეკემბერი 2024 წ.

ქ. თბილისი

„ქალაქ თბილისში, სამგორის რაიონში მდებარე 20000 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: №01.19.33.019.184) ა(ა)იპ „აუტიზმის კვლევისა და ხელისშეწყობის ფონდისთვის“ (ს/კ. 405079640) პირდაპირი განკარგვის წესით სარგებლობის უფლებით, აღნაგობის ფორმით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 15 აგვისტოს №306 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის, საქართველოს ორგანული კანონის - „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის, 127[2] მუხლის პირველი და მე-2 პუნქტების, ასევე „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემის წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 22 დეკემბრის №19-78 დადგენილებით დამტკიცებული წესის მე-14 მუხლის მე-2 პუნქტის და „ქალაქ თბილისში, სამგორის რაიონში მდებარე 20000 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: №01.19.33.019.184) ა(ა)იპ „აუტიზმის კვლევისა და ხელისშეწყობის ფონდისთვის“ (ს/კ: 405079640) პირდაპირი განკარგვის წესით სარგებლობის უფლებით, აღნაგობის ფორმით გადაცემის საკითხის საკრებულოსთან შესათანხმებლად წარდგენის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2017 წლის 19 ივლისის №26.13.522 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2024 წლის 18 დეკემბრის №24.2165.2440 განკარგულების საფუძველზე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:

1. შევიდეს ცვლილება „ქალაქ თბილისში, სამგორის რაიონში მდებარე 20000 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: №01.19.33.019.184) ა(ა)იპ „აუტიზმის კვლევისა და ხელისშეწყობის ფონდისთვის“ (ს/კ. 405079640) პირდაპირი განკარგვის წესით სარგებლობის უფლებით, აღნაგობის ფორმით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 15 აგვისტოს

№306 განკარგულებაში და აღნიშნული განკარგულების პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. მიეცეს თანხმობა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობას, ქალაქ თბილისში, სამგორის რაიონში მდებარე 20 000 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: №01.19.33.019.184) ა(ა)იპ „აუტიზმის კვლევისა და ხელისშეწყობის ფონდისთვის" (ს/კ 405079640) პირდაპირი განკარგვის წესით სარგებლობის უფლებით, აღნაგობის ფორმით გადაცემის საკითხის საკრებულოსთან შესათანხმებლად წარდგენის თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2017 წლის 19 ივლისის №26.13.522 განკარგულებით გათვალისწინებული უძრავი ქონების: ქალაქ თბილისში, სამგორის რაიონში მდებარე 20 000 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: №01.19.33.019.184) ა(ა)იპ „აუტიზმის კვლევისა და ხელისშეწყობის ფონდისთვის" (ს/კ: 405079640) პირდაპირი განკარგვის წესით სარგებლობის უფლებით, აღნაგობის ფორმით გადაცემაზე, აუტიზმის მქონე პირთათვის სასწავლო/სარეაბილიტაციო კომპლექსის მშენებლობის და მუდმივი პროფილის შენარჩუნების მიზნით, ზემოაღნიშნული განკარგულების დანართით განსაზღვრული აღნაგობის პირობების შესაბამისად, მასში ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2021 წლის 28 ივლისის №21.1021.1166 და 2024 წლის 18 დეკემბრის №24.2165.2440 განკარგულებებით შესული ცვლილებების გათვალისწინებით.";

2. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი №64), კანონმდებლობით დადგენილი წესით.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძე